აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა
ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო

ანგარიში

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო სტრუქტურების მიერ 2021 წლის I კვარტალში გატარებული ღონისძიებების შესახებ

2021 წელი

სარჩევი

ზოგადი მიმოხილვა 3

ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 01.04.2021 3

დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 01.04.2021 3

ცხრილი N 2 კერძო სექტორსა და კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 01.04.2021 4

ცხრილი N 3 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/I კვ.-2020/I კვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით 4

ცხრილი N 4 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით 5

ცხრილი N 5 სოციალურად დაუცველ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/Iკვ.-2020/Iკვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით 5

ცხრილი N 6 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/Iკვ.-2020/Iკვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით 6

ცხრილი N 7 საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 01.04.2021 6

ცხრილი N 8 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა (რეგიონელ ჭრილში), რომლებზეც გაიცა მატერიალური (ფულადი) დახმარება 7

ცხრილი N 9 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2021 წ. I კვარტალში 7

ქონების მართვა და პრივატიზება 8

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატა 8

სოციალური სფერო 11

ჯანდაცვა 11

ცხრილი N 10 სამინისტროს მიერ 2021 წლის I კვარტალში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება 14

განათლება, კულტურა, სპორტი 15

ეკონომიკის სფერო 15

ბიზნეს სექტორი 15

დიაგრამა N 2 საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2021/Iკვ-2020/Iკვ. მოქმედ ფასებში 16

პროდუქციის ბრუნვა და გამოშვება 16

დიაგრამა N 3 პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2021/Iკვ-2020/Iკვ. 16

დიაგრამა N 4 გამომუშავებული ელექტროენერგია 2021/Iკვ-2020/Iკვ. 17

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების 2020 წლის I კვარტლის ფინანსური შედეგები 17

ცხრილი N 11 საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2021/Iკვ-2020/Iკვ. 18

სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“ 18

აგრარული სფერო 19

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი 20

დიაგრამა N 5 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2021/I კვ. 21

დიაგრამა N 6 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2021/Iკვ. -2020/Iკვ. 21

ცხრილი N 12 აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2021/Iკვ. 22

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია 2021 წლის I კვარტლის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე. ანგარიში განსახილველად წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას.

ზოგადი მიმოხილვა

2021 წლის 1 აპრილისათვის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სამინისტროს მონაცემებით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ აფხაზეთიდან იგპ-თა საერთო რაოდენობა შეადგენდა 250 006-ს.

ცხრილი N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა და ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით 01.04.2021

N	რეგიონი	რაოდენობა, პირი	ხვ. წილი,%	კოლექტიური ცენტრი
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***250006***	***100***	***518***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**123222**	**49,3**	**136**
3	ქ. თბილისი	106181	42,5	103
4	ქვემო ქართლი	10092	4,0	12
5	შიდა ქართლი	2400	1,0	13
6	მცხეთა-მთიანეთი	966	0,4	1
7	კახეთი	1315	0,5	5
8	სამცხე-ჯავახეთი	2268	0,9	2
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126784**	**50,7**	**382**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	90160	36,1	308
11	აჭარა	7537	3,0	-
12	იმერეთი	27768	11,1	65
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	753	0,3	9
14	გურია	566	0,2	-

კომპაქტურად ჩასახლებული იყო 19 688 (7,9%), ხოლო კერძო სექტორში – 230 318 პირი (92,1%).

დიაგრამა N 1 აფხაზეთიდან იგპ-თა ხვედრითი წილი განსახლების სახის მიხედვით 01.04.2021



ცხრილი N 2 კერძო სექტორსა და კოლექტიურ ცენტრებში განსახლებული აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა რეგიონულ ჭრილში 01.04.2021

N	რეგიონი	კერძო სექტორი	კომპაქტ. განსახლებული
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***230318***	***19688***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**118643**	**4579**
3	ქ. თბილისი	102416	3765
4	ქვემო ქართლი	9724	368
5	შიდა ქართლი	2286	114
6	მცხეთა-მთიანეთი	951	15
7	კახეთი	1277	38
8	სამცხე-ჯავახეთი	1989	279
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**111675**	**15109**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	79860	10300
11	აჭარა	7537	-
12	იმერეთი	23093	4675
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	619	134
14	გურია	566	-

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით იგპ-თა საერთო რაოდენობა გაიზარდა 4 598 პირით ანუ 1,9%-ით.

ცხრილი N 3 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/I კვ.-2020/I კვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით

მატება შემცირება

N	რეგიონი	2021/I კვარტ.	2020/I კვარტ.	+/-
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***250006***	***248690***	***1316***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**123222**	**122113**	**1109**
3	ქ. თბილისი	106181	105407	774
4	ქვემო ქართლი	10092	9920	172
5	შიდა ქართლი	2400	2337	63
6	მცხეთა-მთიანეთი	966	922	44
7	კახეთი	1315	1257	58
8	სამცხე-ჯავახეთი	2268	2270	-2
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**126784**	**126577**	**207**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	90160	90230	-70
11	აჭარა	7537	7456	81
12	იმერეთი	27768	27606	162
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	753	756	-3
14	გურია	566	529	37

2021 წლის 1 აპრილის მდგომარეობით აფხაზეთიდან იგპ-თა შორის სოციალურად დაუცველი იყო სულ 39 572 პირი, მათ შორის სიღარიბის ზღვარს მიღმა - 13 607.

ცხრილი N 4 სოციალურად დაუცველ (მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი) იგპ-თა რაოდენობა რეგიონების მიხედვით

N	რეგიონი	სოციალურად დაუცველი	მ.შ. სიღარიბის ზღვარს მიღმა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***39572***	***13607***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**20116**	**6942**
3	ქ. თბილისი	16657	5834
4	ქვემო ქართლი	2067	704
5	შიდა ქართლი	383	136
6	მცხეთა-მთიანეთი	127	27
7	კახეთი	329	100
8	სამცხე-ჯავახეთი	553	141
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**19456**	**6665**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	15565	5528
11	აჭარა	708	216
12	იმერეთი	2910	850
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	163	38
14	გურია	110	33

2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით სოციალურ დაუცველ იგპ-თა საერთო რაოდენობა შემცირდა 2 997 პირით ანუ 7,6%-ით.

ცხრილი N 5 სოციალურად დაუცველ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/Iკვ.-2020/Iკვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით

მატება შემცირება

N	რეგიონი	2021/I კვარტ.	2020/I კვარტ.	+/-
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***39572***	***42569***	-2997
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**20116**	**19179**	937
3	ქ. თბილისი	16657	15705	952
4	ქვემო ქართლი	2067	2030	37
5	შიდა ქართლი	383	534	-151
6	მცხეთა-მთიანეთი	127	120	7
7	კახეთი	329	304	25
8	სამცხე-ჯავახეთი	553	486	67
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**19456**	**23390**	-3934
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	15565	16395	-830
11	აჭარა	708	1037	-329
12	იმერეთი	2910	5589	-2679
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	163	253	-90
14	გურია	110	131	-21

ცხრილი N 6 სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ იგპ-თა რაოდენობის შედარება 2021/Iკვ.-2020/Iკვ. წ.წ. რეგიონების მიხედვით

შემცირება

N	რეგიონი	2021/I კვარტ.	2020/I კვარტ.	+/-
1	2	3	4	5
1	***სულ საქართველოში***	***13607***	***29888***	-16281
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**6942**	**13650**	-6708
3	ქ. თბილისი	5834	11178	-5344
4	ქვემო ქართლი	704	1490	-786
5	შიდა ქართლი	136	368	-232
6	მცხეთა-მთიანეთი	27	73	-46
7	კახეთი	100	213	-113
8	სამცხე-ჯავახეთი	141	328	-187
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**6665**	**16238**	-9573
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	5528	11739	-6211
11	აჭარა	216	653	-437
12	იმერეთი	850	3605	-2755
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	38	171	-133
14	გურია	33	70	-37

საცხოვრებელი ფართი კერძო საკუთრებაში დაუმტკიცდა სულ 22 869 ოჯახს (63 439 პირი).

ცხრილი N 7 საკუთრებაში გადაცემული ფართები რეგიონების მიხედვით 01.04.2021

N	რეგიონი	ოჯახების რაოდენობა, პირი	ოჯახებში დევნილთა რაოდენობა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***22869***	***63439***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**14928**	**38368**
3	ქ. თბილისი	12698	33819
4	ქვემო ქართლი	981	2629
5	შიდა ქართლი	452	
6	მცხეთა-მთიანეთი	176	473
7	კახეთი	114	311
8	სამცხე-ჯავახეთი	507	1136
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**7941**	**25071**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	3815	10890
11	აჭარა	951	2895
12	იმერეთი	3168	11266
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	7	20
14	გურია	-	-

აფხაზეთიდან დევნილ, სოციალურად დაუცველ კატეგორიებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გამცემი კომისიების მიერ მატერიალური (ფულადი) დახმარება გაეწია 882 ოჯახს (3 218 პირი) სულ 125 000 ლარის ოდენობით.

ცხრილი N 8 აფხაზეთიდან იგპ-თა რაოდენობა (რეგიონელ ჭრილში), რომლებზეც გაიცა მატერიალური (ფულადი) დახმარება

N	რეგიონი	ოჯახების რაოდენობა, პირი	ოჯახებში დევნილთა რაოდენობა
1	2	3	4
1	***სულ საქართველოში***	***882***	***3218***
2	**სულ აღმოსავლეთ საქართველოში**	**515**	**1825**
3	ქ. თბილისი	472	1686
4	ქვემო ქართლი	22	78
5	შიდა ქართლი	3	8
6	მცხეთა-მთიანეთი	0	0
7	კახეთი	1	1
8	სამცხე-ჯავახეთი	17	52
9	**სულ დასავლეთ საქართველოში**	**367**	**1393**
10	სამეგრელო-ზემო სვანეთი	184	716
11	აჭარა	46	152
12	იმერეთი	136	517
13	რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთი	-	-
14	გურია	1	8

2021 წლის I კვარტალში აფხაზეთის ა/რ მთავრობის დაქვემდებარებაში იყო 54 საბიუჯეტო ორგანიზაცია, რომელთაგან 25 ფინანსდებოდა აფხაზეთის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან, 26 – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 3 ორგანიზაცია იყო არასამეწარმეო.

ცხრილი N 9 აფხაზეთის საბიუჯეტო ორგანიზაციების მონაცემები შრომის შესახებ. 2021 წ. I კვარტალში

დაფინანსება	დასაქმებული პერსონალი	დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება	საშ. თვ. შრომის ანაზღ.
	კაცი	ათასი ლარი	ლარი
აფხაზეთის რესპ. ბიუჯეტიდან	987	2 833,8	957,1
საქართველოს ბიუჯეტიდან	1 157	2 892,0	833,2
სულ	***2 144***	***5 725,9***	***890,2***

ქონების მართვა და პრივატიზება

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს გადმოეცა:

ვის მიერ	ქონება	ღირებულება, ლარი
სსიპ ,,კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტო“	20 ერთეული მაგიდის კალენდარი	საერთო ღირ-ბით 28,66 ლარი (ერთეულის ფასი - 1,433 ლარი)
აფხაზეთის ა/რ იგპ-თა - დევნილთა სამინისტროს	ავტომანქანა RENAULT MEGANE, სახ. ნომრით VU150VU, გამოშვების წელის 2017 წ.	საწყისი საბალანსო ღირებულებით 39 100,0 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 23 851,0 ლარი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს მიერ გადაეცა:

ვის გადაეცა	ქონება	ღირებულება, ლარი
აფხაზეთის ა/რ იგპ-თა - დევნილთა სამინისტროს	ავტომანქანა TOYOTA CAMRY, სახ. ნომრით TU897UT, გამოშვების წელი 2010 წ.	საბალანსო ღირებულებით 20 809,10 ლარი, ნარჩენი ღირებულებით 18 478,48 ლარი

გარდა ამისა:

- დეპარტამენტი ახორციელებდა სახელმწიფოს 100% წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოების მართვას, მათი ხელშეწყობის მიზნით წლიური და კვარტალური ანგარიშების ანალიზისა და, ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავებას საწარმოების მიერ მოთხოვნილი (რეინვესტირებული) თანხის მიზნობრივ გამოყენებაზე;
- შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საწარმოთა 2020 წლის ფინანსური ანგარიშები;
- შემუშავებულ და დამტკიცებულ იქნა (კორექტირებული, რეალური შემოსავლების გათვალისწინებით) საწარმოების 2021 წლის ბიზნეს გეგმები.

აფხაზეთის ა/რ სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ საანგარიშო პერიოდში:

- შეიქმნა ონლაინ ბიზნეს კატალოგი, სადაც მეწარმეების პროდუქციასთან ერთად წარმოდგენილი იყო ინფორმაცია მეწარმეების საქმიანობის შესახებ, მათი საკონტაქტო ინფორმაცია, ელ. ფოსტისა და ვებ. გვერდების მისამართები;
- მომზადდა პროექტი "მცირე ბიზნესის ხელშეწყობა“, რომლის განხორციელებისათვის მოთხოვნილია სულ 300 000 ლარი (გადანაწილდება მეწარმეებზე 5000-15000 ლარამდე გრანტების სახით). ეს დაეხმარება რეგიონებში, კერძოდ მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ დევნილ მეწარმეებს ბიზნეს საქმიანობისათვის საჭირო ფართის ან ინვენტარის შესაძენად;
- გაიმართა ონლაინ შეხვედრა პალატის წარმომადგენლებსა და ლტოლვილთა დანიის საბჭოს (Danish Refugee Council) საქართველოს წარმომადგენლობის პროგრამების ხელმძღვანელთან, რომლის ფარგლებში მხარეებმა ერთმანეთს გააცნეს თავიანთი

საქმიანობა და მიმდინარე პროექტები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობის შესაძლებლობებზე;

- ჩატარდა ტრენინგი ელექტრონული კომერციის შესაძლებლობების შესახებ. ტრენინგში ჩართულმა მეწარმეებმა მიიღეს საბაზისო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ელ. კომერციის დაწყებისა და განვითარებისათვის. აღნიშნულ ტრენინგში აქტიურად იყვნენ ჩართულები აფხაზეთიდან დევნილი მეწარმეები.

იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი, როგორც სამართლაშემოქმედებითი საქმიანობის განმახორციელებელი და მაკოორდინირებელი დაწესებულება, აქტიურად იყო ჩართული სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების პროცესში. „იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ 2019-2020 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, დევნილი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით მიღებულ იქნა:

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 2 დადგენილება:

- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 17 თებერვლის დადგენილება №6 ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიღებაზე უფლებამოსილი პირების ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და საცხოვრებელი ადგილის დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის მთავრობის 2011 წლის 24 ოქტომბრის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მინისტრის 3 ბრძანება:

- ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში სარემონტოაღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ’’;
- „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საკუთრებაში/სარგებლობაში გადაცემულ საცხოვრებელ ობიექტებში მცირეფასიანი და გადაუდებელი სარემონტო-აღდგენითი სახის სამუშაოების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- „აფხაზეთიდან დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემულ ობიექტებზე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნის ხელშეწყობის წესის დამტკიცების შესახებ“.

საანგარიშო პერიოდში:

- ქვეპროგრამის „აფხაზური ისტორიის სახლი“ ფარგლებში:
  - დაიგეგმა და მომზადდა ღონისძიება „აფხაზეთი გვაერთიანებს“, რომლის მიზანი იყო ქართულაფხაზური უნიკალური ურთიერთობების წარმოჩენა;

- მომზადდა პროექტი „ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცის მოწყობა“, რომლის მიზანი იყო შეიქმნას ერთიანი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცე, სადაც გათვალისწინებული იქნება ლექციების, გამოფენების, ფორუმების და ა.შ. მოწყობა;
- ქვეპროგრამის „სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ ფარგლებში მომზადდა პროექტი “მუჰაჯირების ნაკვალევზე“;
- ქვეპროგრამის ,,სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერა“ფარგლებში, დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება „საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“, რომლის მიზანი იყო დევნილი საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ, ისეთი გამოფენის ორგანიზება, რომელიც ასახავდა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ისტორიულ ფაქტებს, მათ შორის მის მძიმე შედეგებს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. აღნიშნულის საფუძველზე, მომზადდა და დაიბეჭდა საგამოფენო მასალები, ქ. ზუგდიდში გაიმართა გასვლითი სამუშაო შეხვედრები დევნილი სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებთან და ზუგდიდის სამოქალაქო ინტეგრაციის ცენტრის ბენეფიციარებთან, ქ. ზუგდიდის სამხატვრო გალერეაში მოეწყო რამდენიმე ფოტო გამოფენა სახელწოდებით ,,საბჭოთა ოკუპაციის 100 წლისთავი“, „აფხაზეთი დღეს“ და ,,მუჰაჯირობა“;
- ქვეპროგრამის „მშვიდობის ლაბორატორია“ ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა ღონისძიება „ქალი და მშვიდობა“, რომლის მიზანი იყო იმ ღვაწლმოსილი ადამიანების წახალისება, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესებს, მშვიდობის მშენებლობას, ნდობის აღდგენასა და შერიგებას. ღონისძიების ფარგლებში სიმბოლური საჩუქრები გადაეცა აფხაზეთის ომში მონაწილე სამედიცინო სფეროში მომუშავე 20 ქალბატონს;
- ქვეპროგრამის ,,სამშვიდობო რესურსი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მხარდაჭერა“ ფარგლებში:
- შემუშავდა, დაიგეგმა და გამოცხადდა ესეების კონკურსი სახელწოდებით “ჩემი აფხაზეთი“;
- მომზადდა და გაფორმდა მემორანდუმი შპს ილორის წმინდა გიორგის ტაძართან, რომლის მიზანია შეიქმნას ერთიანი ქართულ-აფხაზური ეთნოგრაფიული სივრცე, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება აფხაზეთის საზოგადოებისთვის.

გარდა ამისა, დევნილი სტუდენტების გაიმართა ლექცია თემაზე „ქოუჩინგი წარმატებისთვის“. გამოსაცემად მომზადდა საინფორმაციო ხასიათის ბროშურა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ . საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან – აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ადვოკატირების ფარგლებში, რომელიც მოიცავს უფასო სამართლებრივი ხასიათის კონსულტაციების გაწევასა და შესაბამის ორგანოებში წარსადგენად დოკუმენტაციის მომზადებაში ხელშეწყობას, მინისტრის აპარატის იუსტიციის დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ გაწეულ იქნა 22 კონსულტაცია და მომზადებულ იქნა შესაბამისი დოკუმენტები (სასარჩელო განცხადება, წერილის პროექტები) სასამართლოში და შესაბამის ორგანოში წარდგენის მიზნით (სტაჟის დადგენა, დევნილის სტატუსის აღდგენა, საცხოვრებელი ფართის დაკანონება, აფხაზეთში დაღუპვისა და უგზო–უკვლოდ დაკარგულის სტატუსის დადგენა, ქორწინების აქტის აღდგენა, სააქტო ჩანაწერში (დაბადების) არსებული ხარვეზის გამოსწორება და სხვ). Covid-19 პანდემიისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის მიუხედავად, მინისტრის აპარატმა, დისტანციურ რეჟიმში ცხელი ხაზის მეშვეობით, განახორციელა 29 სამართლებრივი ხასიათის კონსულტაცია.

სოციალური სფერო

ჯანდაცვა

2021 წლის I კვარტალში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, აფხაზეთის მოსახლეობისათვის სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამების მიღმა არსებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო სერვისის ცალკეული სახეების ხელმისაწვდომობის მიზნით, ბიუჯეტის ფარგლებში, ახორციელებდა სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებს.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებ მოქალაქეთა ამბულატორიული დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი 300 000,0 ლარი)*

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	180	269	34 045,0	11,3

პროგრამა მოიცავდა შემდეგ კომპონენტებს:

➢ <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევის კომპონენტი</u> მიმართულია რთულ შემთხვევებში დიაგნოზის ვერიფიცირებისათვის. ითვალისწინებს გამოკვლევას კომპიუტერულ ტომოგრაფზე კონტრასტით, რომლის სკანერი არანაკლებ 128 შრიანი სისტემაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 56 400 ლარი და მოიცავდა 350 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	44	66	10 520,0	18,7

➢ <u>ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიული მომსახურების კომპონენტი</u> ითვალისწინებს გამოკვლევის ჩატარებას ნარკოზისა და კონტრასტის გარეშე, ანგიოგრაფიით და ნარკოზით ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფზე, რომლის მაგნიტური ველის ინდუქტივობა არანაკლებ 3 ტესლაა. პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 157 750,0 ლარი. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღ. თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	47	**62** მ.შ. ნარკოზ. და კონტრ. გარეშე - 38 ანგიოგრაფიით - 4 ნარკოზით - 1	17 000,0	10,8

		კონტრასტით -19		

➢ <u>ინსტრუმენტული გამოკვლევების კომპონენტი</u> ითვალისწინებს თავის ტვინისა და ქვედა კიდურების დოპლეროგრაფიას, ციფრულ რენტგენოგრაფიას, ელექტროენცეფალოგრაფიას, ართროექოსკოპიას და კარდიოექოსკოპიას. ბიუჯეტმა შეადგინა 15 630,0 ლარი. ხორციელდებოდა შპს ,,კავკასიის მედიცინის ცენტრში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	43	49	2 011,1	12,9

➢ <u>ენდოსკოპიური გამოკვლევის კომპონენტი</u> ითვალისწინებს ეზოფაგოდუოდენოსკოპიას ანესთეზიით და ანესთეზიის გარეშე, კოლონოსკოპიას ანესთეზიით. ბიუჯეტმა შეადგინა 8 850,0 ლარი და მოიცავდა 80 ეპიზოდის დაფინანსებას. ხორციელდებოდა ,,ავერსის კლინიკაში“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	25	29	3 330,0	37,6

➢ <u>ლაბორატორიული გამოკვლევის კომპონენტის პროგრამა</u> ითვალისწინებს კოაგულოგრამის, დ დიმერის, C რეაქტიული ცილისა და ლიპიდების განსაზღვრას. ბიუჯეტმა შეადგინა 5 315,0 ლარი. ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული გახდა „მედიქალ ვორლდ დიაგნოსტიკი“.

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ეპიზოდი	ანაზღაურებული თანხა, ლარი	შესრულება %
2021/I კვარტალი	21	63	1 184,0	22,3

➢ <u>ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობის კომპონენტის</u> მიზანია თვალის რეფრაქციული ანომალიების კორექცია ექსიმერული ლაზერით. მოსახლეობის სახელმწიფო საყოველთაო ჯანრთელობის დაცვის პროგრამა არ ანაზღაურებს თვალის დაავადებათა მკურნალობას ლაზერული ქირურგიის გამოყენებით. პროგრამის განხორციელება დაიწყება მეორე კვარტლიდან. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 24 500,0 ლარით. ელ. ტენდერის შედეგად გამარჯვებული გახდა შპს „ახალი მზერა“. გათვალისწინებულია 20 ეპიზოდის დაფინანსება. პროგრამის განხორციელება დაიწყება მეორე კვარტალში.

➢ <u>კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპონენტის პროგრამა</u> ითვალისწინებს მაღალტექნოლოგიური კვლევის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 12 000,0 ლარით და ითვალისწინებდა კომპიუტერულ ტომოგრაფიული კვლევის დაფინანსებას კონტრასტით და კონტრასტის გარეშე (60 ეპიზოდი), მაგრამ ტენდერი არ შედგა.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხორებ მოქალაქეთა ჰოსპიტალური დახმარების პროგრამა (ბიუჯეტი 100 000,0 ლარი)*

პროგრამა წარმოდგენილი იყო 2 კომპონენტით:

➢ <u>მენჯ-ბარძყის ენდოპროთეზირების კომპონენტი</u> პროგრამის რეალიზაციის მიზნით გამოცხადდა ორი ტენდერი. პირველ შემთხვევაში ბიუჯეტი განისაზღვრა 73 600,0 ლარით და ითვალისწინებდა 16 ეპიზოდის დაფინანსებას, მაგრამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბენეფიციართა მხრიდან გაზრდილი მოთხოვნის გამო, გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის წერილის საფუძველზე, პირველი ტენდერი შეწყდა. მეორე ტენდერისთვის პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 93 100,0 ლარით და ითვალისწინებს 19 ეპიზოდის დაფინანსებას. პროგრამის განხორციელება დაიწყება მეორე კვარტალიდან.

➢ <u>კორონარული ანგიოგრაფიის კომპონენტის</u> პროგრამის დაწყება იგეგმება მეორე კვარტალიდან.

- *აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერის პროგრამა (ბუიჯეტი 715 000,0 ლარი)*

პროგრამის მიზანია იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მხარდაჭერა, დევნილ ავადმყოფთა სტაციონარული/ჰოსპიტალური მკურნალობის ღირებულების თანადაფინანსების თანხების ანაზღაურებაში წილობრივი მონაწილეობით მოქალაქეთათვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობაში ფინანსური მხარდაჭერა. საანგარიშო პერიოდში ათვისებულმა თანხამ შეადგინა სულ 125 715,69 ლარი.

პროგრამა წარმოდგენილი იყო რამდენიმე კომპონენტით:

➢ <u>ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობის კომპონენტი</u>

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2021/I კვარტალი	272 აქედან მომსახურება ჩაიტარა **162**	79 650,7

➢ <u>ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობის პროგრამა</u>

	დაფ. ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა, ლარი
2021/I კვარტალი	13	16 203,69

➢ <u>აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედ COVIDსტაციონარების მედიკამენტებით მხარდაჭერის პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების დახმარება ახალი კორონავირუსით (COVID-19) ინფიცირებულთა სტაციონარულ პირობებში მკურნალობისთვის (საქართველოში

მიღებულ „ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის (COVID-19) კლინიკური მართვა მოზრდილ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში“ პროტოკოლის შესაბამისად) საჭირო მედიკამენტებით. პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 100 000,0 ლარს და ითვალისწინებდა 27 დასახელების მედიკამენტების სახელმწიფო შესყიდვას, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ზემოხსენებული პროგრამის მართვა უფრო მიზნობრივი და ეფექტური იქნებოდა ა(ა)იპ აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს მიერ, ბიუჯეტი განისაზღვრა 29 861,30 ლარით.

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კონსოლიდირებული ტენდერებით შესყიდულ იქნა 29 861,030 ლარის 17 დასახელების მედიკამენტი, საიდანაც ოკუპირებული აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებს გადაეცა 12 188,40 ლარის 15 დასახელების მედიკამენტი. სამინისტროს ბალანსზეა დარჩენილი 17 672,90 ლარის 16 დასახელების მედიკამენტი.

- <u>მიზნობრივი საჯარო სკოლების მოსწავლეთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევის პროგრამა</u>

პროგრამის მიზანია ადრეულ ასაკში სხვადასხვა ორგანოთა დაზიანების ისეთი მდგომარეობებისა და დარღვევების გამოვლენა, რომლებიც დროთა განმავლობაში იწვევს სერიოზულ პათოლოგიებს. მსგავსი ტიპის პროგრამა ხელს შეუწყობს ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევათა ადრეულ გამოვლენას, გართულებების პრევენციას და ადეკვატური მკურნალობის ტაქტიკის შერჩევას. აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტმა შეადგინა 100 000,00 ლარი. ითვალისწინებს გამყოფი ხაზის (სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონი) სოფლების სკოლების, აფხაზეთის საჯარო სკოლების და დევნილ მოსწავლეთა მაღალი კონტინგენტის საჯარო სკოლების მოსწავლეების გამოკვლევას. პროგრამის დაწყება იგეგმება მეორე კვარტალიდან.

ცხრილი N 10 სამინისტროს მიერ 2021 წლის I კვარტალში ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებში გაწეული დახმარება

ბენეფ. რაო-ბა სულ	ჯანდაცვითი პროგრ. ფარგლებში	სოც. მხარდაჭერის პროგრ. ფარგლებში	პროგრამის ფარგლებში ათვისებული თანხა, ლარი
355	180 (269 ეპიზოდი)	175	159 760,69

სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას კვლავ წარმოადგენდა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი მოქალქეებისათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი, განსახლება და შექმნილი პრობლემების დროს დაუყოვნებელი რეაგირება.

საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს შუამდგომლობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური კომისიის ოქმით დაფინანსდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა მოქალაქეობის არ მქონე 160 პირი.

2021 წლის I კვარტალში რეფერალური ობიექტით (საცხოვრისი) ისარგებლა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრებმა 13-მა ბენეფიციარმა თანმხლებ პირებთან ერთად. თითოეული მოსარგებლის ჩასახლება აღნიშნულ ობიექტზე განხორციელდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეფერალური ობიექტით სარგებლობის წესი“-ს (მინისტრის ბრძანება №46, 19.02.2016წ.) შესაბამისად.

განათლება, კულტურა, სპორტი

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ განხორციელდა შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები:

- *გალის რაიონის (კონფლიქტის ზონა) სკოლამდელი აღზრდისა და სახელოვნებო სკოლების პედაგოგთა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარების პროგრამა*

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა გალის რაიონის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (9 საბავშვო ბაღი), 4 მუსიკალური და 1 სამხატვრო სკოლის 181 ბენეფიციარი - 89 პედაგოგი, 92 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

- *წარმატებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა*

განხილული 121 განცხადებიდან, პროგრამის ფარგლებში, განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით, დაფინანსდა 56 წარმატებული ახალგაზრდა აფხაზეთიდან;

- *აფხაზური ენის პედაგოგთა ფინანსური მხარდაჭერა*

ქვეპროგრამის მიზანია აფხაზური ენის პოპულარიზაცია და განვითარება მოზარდ-ახალგაზრდებში. სამინისტრო უზრუნველყოფს აფხაზური ენის მასწავლებლების ფინანსურ დახმარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ აფხაზეთის საჯარო სკოლის პედაგოგები.

- *აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია*

ქვეპროგრამის ფარგლებში სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის ქიმიური ექსპერტიზის სამაგისტრო პროგრამის I კურსის სტუდენტს დარეჯან ირემაშვილს მიენიჭა ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია.

ეკონომიკის სფერო

ბიზნეს სექტორი

2021 წლის I კვარტალში აფხაზეთის ა/რ ბიზნეს სექტორის ორგანიზაციებში, რომელთაც მართავდა როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტრო, ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საშუალოდ 1 540 კაცი მუშაობდა. დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებამ ამ პერიოდში სულ შეადგინა 5 924,3 ათასი ლარი, საშუალო ხელფასის ოდენობამ თვეში – 1 282,3 ლარი.

დიაგრამა N 2 საშუალო თვიური ხელფასების შედარება 2021/Iკვ-2020/Iკვ. მოქმედ ფასებში



პროდუქციის ბრუნვა[1] და გამოშვება[2]

2021 წლის I კვარტალში ბიზნეს საწარმოთა მიერ პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება განისაზღვრა 4,2 მლნ. ლარით.

დიაგრამა N 3 პროდუქციის ბრუნვა/გამოშვება 2021/Iკვ-2020/Iკვ.



[1]**პროდუქციის ბრუნვა** – არის საანგარიშო პერიოდში ეკონომიკური ერთეულის მიერ განხორციელებული გაყიდვები ანუ დარიცხული შემოსავლები საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან (ბარტერის ჩათვლით). ბრუნვა მოიცავს ყველა გადასახადსა თუ ბაჟს საქონელსა და მომსახურებაზე (დღგ-ისა და აქციზის გარდა). მასში ჩაირთვება აგრეთვე ყველა ხარჯი (სატრანსპორტო, შეფუთვის და ა.შ.), რომლებიც დაეკისრება მყიდველს. ფასთა დაწევა, ფასდაკლებები თუ ფასდათმობები, აგრეთვე დაბრუნებული ტარის ღირებულება შეიძლება გამოირიცხოს ბრუნვიდან (ნაღდი ანგარიშსწორებისას მხოლოდ ფასდაკლებების გამორიცხვით). ბრუნვაში არ ჩაირთვება აქტივების გაყიდვა, აგრეთვე სუბსიდიები.

[2]**პროდუქციის გამოშვება** – განსაზღვრავს ეკონომიკური ერთეულის მიერ ფაქტობრივად წარმოებული პროდუქციის რაოდენობას და რეალიზებული პროდუქციის მოცულობას, გადაყიდვისათვის შეძენილი საქონლისა და მომსახურების, აგრეთვე მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებების ჩათვლით.

საანგარიშო პერიოდში პროდუქციის ბრუნვისა და გამოშვების საერთო მოცულობაში ძირითადი წილი (94,0%) მოდის ენერგეტიკაზე – 3,95 11,3 მლნ. ლარი, ხოლო დანარჩენ საწარმოებზე – 201,6 ათასი ლარი.

2021 წლის I კვარტალში ენერგოსაწარმოებმა (შპს ,,ენგურჰესი“ და შპს ,,ვარდნილჰესების კასკადი“) წინასწარი მონაცემებით სულ 180 564,9 ათ.კვტ.სთ ელექტროენერგია გამოიმუშავეს. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (762 341,6 ათ. კვტ.სთ.) ელექტროენერგიის გამომუშავება შემცირდა 581 776,7 ათ.კვტ.სთ-ით ანუ 76,3%-თ, რაც გამოწვეულია შპს ,,ენგურჰესზე“ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებით.

დიაგრამა N 4 გამომუშავებული ელექტროენერგია 2021/Iკვ-2020/Iკვ.



საანგარიშო პერიოდში ამ საწარმოებში დასაქმებული იყო სულ 1 213 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი თვეში განისაზღვრა 1 519,2 ლარით, რაც 17,1 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (1 296,8 ლარი) შედარებით.

აფხაზეთის ა/რ მთავრობის 100%-იანი წილით შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების 2020 წლის I კვარტლის ფინანსური შედეგები

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაფუძნებული სამედიცინო პროფილის შეზღუდული პასუხისმგებლობის 12 საწარმო.

საწარმოთა საქმიანობის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით 2021 წლის I კვარტლის ეკონომიკური მაჩვენებლები შედარებულ იქნა 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებთან.

2021 წლის I კვარტლის ფაქტიური შემოსავლების საერთო თანხამ 658 594 ლარი შეადგინა, რაც გეგმიურ შემოსავლებზე (542 904 ლარი) 115 690 ლარით (ანუ 21,3%-ით) მეტია, ხოლო 2020 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ შემოსავლებთან (558 529 ლარი) შედარებით კი 100 065 ლარით (17,9 %-ით) გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში მთლიანმა ფაქტიურმა დანახარჯებმა 618 909 ლარი შეადგინა, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე (525 415 ლარი) 93 494 ლარით მეტი, ხოლო 2020 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტიურ დანახარჯებთან (530 288 ლარი) შედარებით 88 621 ლარით გაიზარდა.

2021 წლის I კვარტალში დაგეგმილი იყო 17 489 ლარის მოგება. ფაქტიურად საწარმოების ჯამური მოგების თანხამ შეადგინა 44 314 ლარი, ანუ 26 825 ლარით (153,4 %-

ით) მეტი. 2021 წლის შესაბამის პერიოდის ფაქტიურ მოგებასთან (33 110 ლარი) შედარებით მოგების მაჩვენებელი გაიზარდა11 204 ლარით (33,8 %-ით).

ცხრილი N 11 საწარმოების ფინანსური მაჩვენებლების შეხდარება 2021/Iკვ-2020/Iკვ.



სსიპ ,,აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლების და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრი ბიზნესინკუბატორი“

ბიზნესინკუბატორის სარგებლობაში არსებული ფართებზე 2021 წლის დასაწყისისათვის მეწარმეებთან გაფორმებული იყო 2- ხელშეკრულება. I კვარტალში შეწყდა ხელშეკრულება ერთ ინდმეწარმესათნა, ხოლო ახალი ხელშეკრულებები დაიდო აუქციონის წესით გამოველნილ 3 გამარჯვებულთან (საერთო ფართით - არასასოფლო-სამეურნეო მიწა - 1445 კვ.მ. შენობა-ნაგებობა - 1038 კვ.მ).

ბიზნესინკუბატორი შპს სტუდენტურ ტურისტულ კომპანიასთან ,,All in Georgia” ერთობლივად ახორციელებდა პროექტს ,,სტაჯირებისა და სამუშაო ადგილზე სწავლის შესაძლებლობის ხელშეწყობა სტუდენტებისათვის“, რომლის მიზანია შერჩეული კანდიდატების სტაჟირების ხელშეწყობა და პროფესიული უნარჩვევების გამომუშავება.

გრძელდებოდა სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 4-წლიანი საგრანტო პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ავტომატური მართვის მექანიზმით აღჭურვილი, ენერგოდამზოგი და უსაფრთხო, მასობრივი მოხმარების ქარძრავის წარმოება. საგრანტო პროექტის ფარგლებში, სსიპ ბიზნესინკუბატორში დამატებით დასაქმებული იყო 9 პირი. სულ დასაქმებულთა რიცხვი საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 22 პირს.

ბიზნესინკუბატორის მოიჯარე კომპანიებში დასაქმებული იყო 110 ადამიანი, მათ შორის 18 დევნილი.

სსიპ ბიზნესინკუბატორის 2021 წლის I კვარტლის ფინანსური შედეგები შემდეგია:

- იჯარის შემოსავლები - 13 608,0 ლარი;
- სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილი თანხა - 7 510,0 ლარი;
- პერსონალის სახელფასო ფონდი (მათ შორის საგრანტო პროექტით - 19 650,0 ლარი) – 44 850,0 ლარი.

აგრარული სფერო

საანგარიშო პერიოდში აფხაზეთის ა/რ ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო-დაწესებულება აგრარულ საკითხთა დეპარტამენტის საქმიანობა მიმართული იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებისა და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აგრარულ სფეროში დასაქმებული ფერმერების ხელშეწყობაზე.

2021 წლის I კვარტალში:

- მიმდინარეობდა მონაცემთა ბაზის დამუშავება, რომელიც ეხება დევნილ ბენეფიციართა საკუთრებაში არსებულ 0,5 ჰა-ზე მეტი მიწის ფართობის გამოყენების საკითხზე ელექტრონული ვერსიის შემუშავებას. აღნიშნული ღონისძიების ძირითადი მიზანს წარმოადგენს სოფლის მეურნეობით დასაქმებული დევნილი მოსახლეობის დახმარება, მათთვის საინტერესო პროგრამების შეთავაზება, ერთი სახეობის სოფლის მეურნეობის კულტურების განთავსებით დაინტერესებულ ბენეფიციარების დაახლოება კოოპერატივების ან შპს ორგანიზაციების შექმნის მიზნით. ამ ეტაპზე მიმდინარეობდა ბენეფიციართა საკუთრებაში არსებულ ფართობზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების ქვეშ მოქცეული სავარგულების დადგენა და ამ მიმართულებით მათი მოთხოვნების ასახვა (სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), კახეთის რეგიონი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლები);
- GGP ადამიანის უსაფრთხოების პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად ელექტრონული ფოსტით მასალები მიწოდებულ იქნა იმ დევნილ ბენეფიციარებისთვის, რომელთა მონაცემები დამუშავებული იყო ელექტრონულ ბაზაში. „გერმანიის თანამშრომლობის (GIZ-ის) მიერ გამოცხადებულ მცირე ფერმერთა უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი აღჭურვილობის წვდომის გაუმჯობესებაზე საგრანტო კონკურსში“ მონაწილეობის მისაღებად მასალები გადაეგზავნა იმ დევნილ ბენეფიციარებს, რომლებზეც სატელეფონო და ონლაინ კავშირით მოხერხდა დაკავშირება და რომელთაც სურვილი გამოთქვეს მონაწილეობის მიღებაზე (თეთრიწყაროს, წალკის, კასპისა და მარნეულის მუნიციპალიტეტები);
- ,,დანიის ლტოლვილთა საბჭოს“ (დლს)-ს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მასალები მიეწოდა მარტვილის, ზუგდიდის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ დევნილ ბენეფიციარებს, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე. ზემოხსენებული პროგრამა მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იგპ-თა დახმარების პროგრამაში მონაწილეობას;
- მონაცემთა ბაზაში ასახული ელექტრონული ფოსტის მქონე ბენეფიციარებს მიეწოდა ინფორმაცია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი საგრანტო პროგრამის, სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (FAO) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) შესახებ, სადაც იწვევდნენ დამწყებ და მოქმედ ბიზნესმენებს არასასოფლო-სამეურნეო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად;

- დეპარტამენტის სპეციალისტები მონაწილეობდნენ თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს TIKA-ს მიერ ინიცირებულ ,,დაფნის გაშენების“ პროგრამის მოსამზადებელ სამუშაოებში. დეპარტამენტმა TIKA-თან ერთად მოამზადა შესაბამისი დასკვნა ,,დაფნის პროექტი“-ს განხორციელებისათვის მოსალოდნელი რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით;
- გარკვეული სამუშაოები ჩატარდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოსთან (TIKA) მეფუტკრეობის დარგში დასაქმებულ .გპ და აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა პროფესიულ უნარ-ჩვევების გაუმჯობესებასა და მათი შემოსავლების ზრდის ხელშეწყობაზე. ბენეფიციარებს მიეწოდა ინფორმაცია მათ მიმართ დაკისრებული ვალდებულებებისა და მოვალეობების შესახებ. შემუშავდა სამოქმედო გეგმა და მომზადდა საჭირო დოკუმენტაცია;
- შემუშავებული ფორმატის მიხედვით, პარალელურად მიმდინარეობდა ოკუპირებული აფხაზეთის სოფლებში გავრცელებული ნიადაგების ფიზიკო-ქიმიური მონაცემების შესწავლა-დამუშავება, მომავალში ელექტრონული ბაზის შექმნის მიზნით;
- ხორციელდებოდა მონიტორინგი ოკუპირებულ ტერიტორიაზე გალის, ნაწილობრივ ოჩამჩირისა და ტყვარჩელის რაიონების სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის საჭირო მცენარეთა დაცვისა და ვეტერინარული სერვისების მიწოდების ხელშეწყობისთვის;
- შემუშავდა მიზნობრივი პროგრამა „მცენარეთა დაცვითი ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამა,“ რომლის სრული პაკეტი განხორციელებისთვის გადაეცა სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“;
- მიმდინარეობდა გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე (25 სოფელი) მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში მყოფ შინაურ ცხოველთა, ფრინველთა და ფუტკართა ოჯახების რაოდენობის მონაცემების განახლება. საპროფილაქტიკო-სამკურნალო გეგმიური და არაგეგმიური ვეტღონისძიებების განხორციელებისთვის შემუშავდა მიზნობრივი პროგრამა „საშიში ინფექციური (ზოონოზური) დაავადებების საწინააღმდეგოდ იმუნიზაციის ჩატარებისა და ეპიზოოტური კეთილსაიმედობის შენარჩუნების პროგრამა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე,“ პროგრამის განსახორციელებლად შერჩეულ იქნა ვეტმედიკამენტების სახეობები (დანიშნულების მიხედვით) და რაოდენობა. განხორციელდა წინასწარ შერჩეულ ვეტ-პრეპარატების შესყიდვისთვის ბაზრის კვლევა, აგრეთვე მომზადდა შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია. მიზნობრივი პროგრამის სრული პაკეტი და მომზადებული დოკუმენტაცია გადაეცა სსიპ „პროგრამებისა და სერვისების სააგენტოს“.

მიმდინარე წლის იანვარში ოკუპირებულ ტერიტორიის რიგ სოფლებში (ნაბაკევი, რეფი, ქვემო ბარღები, ზემო ბარღები, სიდა) გაჩნდა ხანძარი. მოსახლეობას მიადგა მატერიალური ზარალი - დაზიანდა მრავალწლიანი ნარგავები, თხილის პლანტაციები. სტიქიით დაზარაბულთა დასახმარებლად აფხაზეთის ა/რ მთავრობაში შექმნილ შესაბამის კომისიას მიეწოდა დაზარალებულ ბენეფიციართა მონაცემები, აგრეთვე ინფორმაცია მიყენებული ზარალის შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებმა 2021 წლის I კვარტალში შეადგინა სულ 4 554,41 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 750,0 ათასი ლარი) 95,8%-ია.

გადასახადების სახეების მიხედვით ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა:

დასახელება	გეგმა. ათ.ლარი	ფაქტი ათ.ლარი	+/-ათ.ლარი	%
სულ	**4750.0**	**4554.41**	**195.59**	**95.8**
გადასახადები	2400.0	2225.03	174.97	92.7
გრანტები	2250.0	2250.0	0	100.0
სხვა შემოსავლები	100.0	79.38	20.62	79.4

ბიუჯეტის შევსების მთავარი წყაროებია ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი და საშემოსავლო გადასახადი, რომელთა ხვედრითი წილი შემოსავლების საერთო მოცულობაში 49,4 და 48,9 პროცენტს შეადგენს. შესაბამისად, აღნიშნული შემოსავლები ჯამში საერთო შემოსავლების 98,3 პროცენტია. დანარჩენ შემოსავლებზე მოდის 1,7 პროცენტი.

დიაგრამა N 5 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საერთო მოცულობაში შემოსავლების ხვედრითი წილები სახეების მიხედვით. 2021/I კვ.



დიაგრამა N 6 რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების შედარება 2021/Iკვ. -2020/Iკვ.



2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით:

- შემოსულობები გაიზარდა 51,8 ათასი ლარით;
- საშემოსავლო გადასახადი შემცირდა 201,0 ათასი ლარით;
- ტრანსფერის მოცულობა გაიზარდა 250,0 ათასი ლარით;
- სხვა შემოსავლები გაიზარდა 3,0 ათასი ლარით.

ცხრილი N 12 აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შედეგები. 2021/Iკვ.

ათასი ლარი

	გეგმა	ფაქტი	გეგმის შესრ.%	გეგმასთან შედ.+/-	ხვ. წილი გადასახდელებთან %
გადასახდელები – სულ მ.შ.	***5173,47***	***4253,16***	***82,2***	***-920,3***	***100.0***
შრომის ანაზღაურება	2437,87	1958,49	80,3	-479,4	46,0
საქონელი და მომსახურება, მ.შ.	777,66	657,85	84,6	-119,81	15,5
• *შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღ.*	*400,39*	*370,52*	*92,5*	*-29,87*	*8,7*
• *მივლინებები*	*25,66*	*15,71*	*61,2*	*-9,95*	*0,4*
• *ოფისის ხარჯები*	*164,33*	*135,44*	*82,4*	*-28,89*	*3,2*
• *წარმომადგენლობითი*	*11,03*	*6,37*	*57,8*	*-4,66*	*0,2*
• *სამედიცინო ხარჯები*	*1,05*	*0,25*	*23,8*	*-0,8*	
• *რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკ.*	*1,79*	*0,74*	*41,3*	*-1,05*	
• *ტრანსპორტის. ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები*	*115,76*	*92,37*	*79,8*	*-23,39*	*2,2*
• *სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება*	*57,65*	*36,45*	*63,2*	*-21,2*	*0,9*
სუბსიდია	1117,57	980,52	87,7	-137,05	23,1
სოციალური უზრუნველყოფა	431,73	405,48	93,9	-26,25	9,5
სხვა ხარჯები	221,39	135,85	61,4	-85,54	3,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	187,25	114,97	61,4	-72,28	2,7